პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 15 ნოემბერი, 1944 წ. № 230 (7183). ფასი 20 კაპ.

ჩვენი მუშათა კლასი მთელ თავის ძალ-ღონეს გამარჯვების საქმეს ახმარს, განუწყვეტლივ აუმჯობესებს წარმოების ტექნიკას, ზრდის სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეს, აშენებს ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი შრომითი გმირობა გამოიჩინა ახლანდელ ომში.

ი. სტალინი

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი

დიდმა სტალინმა თავის საოქტომბრო მოხსენებაში მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ადამიანების, კერძოდ ახალგაზრდობის თავდადებულ შრომას ზურგში. მან სთქვა: **„სამუდამოდ შევა ისტორიაში უმაგალითო შრომითი გმირობა საბჭოთა ქალებისა და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა“.**

და მართლაც, სამამულო ომის დღეებში, როცა მილიონობით საბჭოთა ადამიანი წავიდა ფრონტზე იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად, ზურგში დარჩენილი ახალგაზრდობა, გამსჭვალული მაღალი პატრიოტული შეგნებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში თავდადებული მუშაობით განუწყვეტელ ნაკადად აწვდის წითელ არმიას ყოველივეს, რაც საჭიროა მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა იბრძვის და შრომობს ლენინურ-სტალინური კომკავშირის ხელმძღვანელობით. სამამულო ომის დღეებში ლენინურ - სტალინურმა კომკავშირმა, პარტიის საიმედო რეზერვმა და ერთგულმა თანაშემწემ, განსაკუთრებული სიძლიერით გამოამჟღავნა ის თვისებები, რომლებსაც წლების მანძილზე მასში ნერგავდნენ და ზრდიდნენ ბოლშევიკების პარტია, დიდი ბელადები **ლენინი და სტალინი.**

ბოლშევიკური პარტიის პირველსავე მოწოდებაზე საბჭოთა ახალგაზრდობა, როგორც ერთი კაცი, აღსდგა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად. კომკავშირმა გაიყოლია ახალგაზრდობა თავგანწირულ ბრძოლასა და გმირულ შრომაში. კომკავშირმა მისცა სამშობლოს უკვდავი გმირები, რომელთა სახელებს არასოდეს არ დაივიწყებს შთამომავლობა.

კომკავშირის გამარჯვებას ფრონტსა და ზურგში უზრუნველჰყოფს მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა. პარტიული ხელმძღვანელობა არის კომკავშირის ძალისა და ძლიერების წყარო. პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით მრავალი ქარხნის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელები წარმატებით სწყვეტენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს — ზრდიან ახალგაზრდობას სამშობლოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, აღზრდიან მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ახალგაზრდობაში, მთელ კოლექტივში. ორგანიზაცია განუწყვეტლივ ზრუნავს ახალგაზრდობის პოლიტიკური და საწარმოო აღზრდისათვის. ერთი რომელიმე ახალგაზრდის მიერ გამოჩენილი ინიციატივა მალე ქარხნის მთელი ახალგაზრდობის კუთვნილება ხდება. ლექციები, მოხსენებები, საუბრები, რომლებსაც აწყობს ქარხნის კომკავშირი, იდეურად ზრდიან ახალგაზრდობას, ამაღლებენ მის შეგნებას. კომკავშირელები მრავალი ახალი საქმის თაოსნები არიან. მაღალია მათი საწარმოო აქტივობა. ქარხანაში არ არის ისეთი კომკავშირელი, რომელიც გეგმას დიდი გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

რამ უზრუნველჰყო ქარხნის კომკავშირის წარმატება? ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუდმივმა ხელმძღვანელობამ. პარტიული ორგანიზაცია წარმართავს კომკავშირის საქმიანობას, ხშირად სწავლობს მისი მუშაობის როგორც საერთო, ისე ცალკეულ საკითხებს, აწყობს საუბრებს კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან, უსახავს ღონისძიებებს, ეხმარება მათს განხორციელებაში.

პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი ყველგან ერთნაირად ძლიერი როდია. უპირველეს ყოვლისა ამით აიხსნება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და შინაკომკავშირული მუშაობის შესუსტება ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში. ცუდად მუშაობს კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ (წითელწყაროს რაიონი) კომკავშირული ორგანიზაცია. აქ კომკავშირულ კრებებს თვეში ან ორ თვეში ერთხელ იწვევენ და იმასაც მოუმზადებლად. ხშირად მოსმენილი საკითხების გარშემო არავითარი დადგენილება არ გამოაქვთ. ჩაშლილია აღმზრდელობითი მუშაობა. მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ კომკავშირის ზრდის საკითხებზე. ქ. სოხუმის 53 კომკავშირული ორგანიზაციიდან მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე არც ერთი ახალგაზრდა არ მიუღიათ 20 ორგანიზაციაში. ამავე დროის განმავლობაში ქ. ქუთაისის 133 ორგანიზაციიდან ზრდა არ ყოფილა 41 ორგანიზაციაში. კომკავშირული კრება ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კრების მომზადებასა და მოწვევას. კრებები ტარდება მოსაწყენად, უინტერესოდ. ქ. სოხუმის სახანძრო დაცვის კომკავშირულ ორგანიზაციაში 9 თვის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოიწვიეს კრება. ამავე პერიოდში ბათუმის საქალაქო საბჭოს კომკავშირულ ორგანიზაციაში სუსტი მომზადების შედეგად ხუთჯერ ჩაშალა კრება. ბევრგან არასაკმაო რაოდენობით ტარდება ახალგაზრდობისათვის ლექციები, კონსულტაციები, თეორიული კონფერენციები, ამხანაგური საუბრები. ხელმძღვანელი პარტიული და კომკავშირული მუშაკები იშვიათად გამოდიან ახალგაზრდობაში პოლიტიკური მოხსენებებით.

კომკავშირის მუშაობაში არსებული ამ ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებელი არიან პარტიული ორგანიზაციები. ახალგაზრდობის იდეური აღზრდის გაუმჯობესება, მისი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდა წარმოუდგენელია კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების გარეშე. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სისტემატურად უნდა მოიწყოს ახალგაზრდობისათვის ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, ამხანაგური საუბრები — საერთაშორისო საკითხებზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ თემებზე, ჩვენი ხალხის გმირულ წარსულზე. აუცილებელია დავაწესოთ სისტემატური კონტროლი კომკავშირული კადრების თეორიულ სწავლებაზე, დავეხმაროთ მათ დამოუკიდებელი სწავლის ორგანიზაციაში. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მოვალეობაა ხშირად გამოვიდნენ ახალგაზრდობაში პოლიტიკური მოხსენებებით. პარტკაბინეტებთან არსებულ კომკავშირული მუშაობის ოთახებში, ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს გამოფენები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკე თავების მიხედვით, ამხანაგ სტალინის წიგნზე, სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. საჭიროა პარტკაბინეტების სამუშაო გეგმებში გავითვალისწინოთ სპეციალური თემები ახალგაზრდობისათვის.

თუ გვსურს, რომ კომკავშირმა ბოლომდე გაამართლოს თავისი, როგორც პარტიის თანაშემწის, როლი, ყოველდღიურად უნდა ვუხელმძღვანელოთ და დავეხმაროთ მას, პარტიულ კრებებზე სისტემატურად განვიხილოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები. შევამოწმოთ, თუ როგორ ასრულებენ ისინი ბელადის საოქტომბრო მოხსენებაში და ბრძანებაში დასახულ ამოცანებს.

პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ისე დააყენონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, რომ კომკავშირმა, ახალგაზრდობამ თავიანთი მგზნებარე ენერგია მთლიანად მოახმარონ დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას, დაეხმარონ გმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის საბოლოო განადგურებაში.

გადაცემა სსრ კავშირის ორდენებისა ნამსახურობისათვის

11 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ი. კალინინმა** წითელი არმიის მარშლებისა და გენერლების ჯგუფს გადასცა ორდენები ნამსახურობისათვის.

წითელი დროშის ორდენები გადაეცათ საბჭოთა კავშირის მარშლებს **ს. მ. ბუდიონის, კ. ე. ვოროშილოვს** და **გ. კ. ჟუკოვს,** არტილერიის მთავარ მარშალს **ნ. ნ. ვორონოვს,** არტილერიის მარშალს **ნ. დ. იაკოვლევს,** ჯავშანსატანკო ჯარების მარშალს **ი. ნ. ფედორენკოს,** საინჟინრო ჯარების მარშალს **მ. პ. ბირიუზოვს,** არმიის გენერალ **ა. ი. ანტონოვს,** გენერალ-პოლკოვნიკებს **თ. ი. გოლიკოვს, მ. ს. გრომადინს, ი. მ. სმოროდინოვს, ნ. ე. ჩიბისოვს** და **ე. ა. შჩადენკოს,** სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **ნ. ი. ბირიუკოვს** და არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ვ. ვ. ადამენკოს;** წითელი ვარსკვლავის ორდენი გადაეცა არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ი. ს. პროჩკოს.**

ამხ. მ. ი. კალინინმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულ მარშლებსა და გენერლებს.

— თუ წარსულს მივმართავთ,—სთქვა ამხ. კალინინმა,—ადვილად დავინახავთ, რომ ყოველმა თქვენგანმა თავისი სამსახურის მრავალი წლის მანძილზე დახერგა წითელ არმიაში იმ თვისებათა ნაწილი, რომლებსაც ასე ბრწყინვალედ იჩენს იგი სამამულო ომის ფრონტებზე.

— სულითა და გულით გისურვებთ, რომ თქვენ კიდევ მრავალ და მრავალ წელს იმუშაოთ ჩვენი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

დავეხმაროთ წითელ არმიას საბოლოოდ გაანადგურის ფაშისტი მხეცი და გამარჯვების დროშა ააფრიალოს ბერლინში

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატისა და სტალინის სახელობის კუზნეცკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშაკთა მიმართვა საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშის, მოსამსახურის, ინჟინრისა და ტექნიკოსისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი აღფრთოვანებით ისმენდა ჩვენი დიდი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ. დადგა დღესასწაული ჩვენს ქუჩაზე. წითელმა არმიამ გაათავისუფლა ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი გერმანელ დამპყრობთაგან. ამაყად გაისმის დიდი სტალინის სიტყვები: „ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან“.

ფრონტზე და ზურგში ჩვენი ხალხის სახელოვან გამარჯვებათა შედეგები უდიდესი სიხარულით აღავსებენ მშრომელთა გულს. ამხანაგ სტალინის მიერ საბჭოთა ზურგის მუშაობისათვის მიცემული მაღალი შეფასება ახალ ენერგიას გვინერგავს და ახალ-ახალი შრომითი გმირობისათვის აღგვაფრთოვანებს.

ამჟამად, როცა წითელი არმია ემზადება გადამწყვეტი შეტევისათვის ფაშისტი მხეცის ბუნაგის წინააღმდეგ და მტრისადმი ახალ-ახალი გამანადგურებელი დარტყმის მისაყენებლად, მთელი საბჭოთა ხალხი უნდა დაეხმაროს ჩვენი ჯარების სწრაფ შეტევას, რათა უმოკლეს ვადაში განადგურებულ იქნას ჰიტლერული გერმანია.

წითელმა არმიამ ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად საბოლოოდ უნდა გაანადგუროს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა ააფრიალოს ბერლინში. ამისათვის ჩვენ კიდევ უფრო უნდა დავძაბოთ ჩვენი ძალები, გადავლახოთ სიძნელეები და მივცეთ ფრონტს ყველაფერი, რაც საჭიროა სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის.

შეგნებული გვაქვს რა ჩვენი მოვალეობა სამშობლოს და წითელი არმიის წინაშე, ჩვენ, დიდი სტალინის მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებული მეტალურგები, ვკისრულობთ შემდეგს სოციალისტურ ვალდებულებებს:

სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის კომბინატი:

1. ვადამდე შევასრულოთ 1944 წლის გეგმა და შარშანდელთან შედარებით 690 ათასი ტონით გავადიდოთ რკინის მადნის ამოღება, 600 ათასი ტონით კოქსის გამოწვა, 460 ათასი ტონით თუჯის გამოდნობა, 450 ათასი ტონით ფოლადის გამოდნობა და 340 ათასი ტონით ნაგლინის გამოშვება.

2. მივიღოთ 40 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

3. უზრუნველვყოთ სამხედრო მრეწველობის ყველა დაკვეთის მთლიანად შესრულება და გამოვუშვათ მაღალი ხარისხის ლითონი.

სტალინის სახელობის კუზნეცკის კომბინატი:

1. თუჯის გამოდნობის წლიური გეგმა შევასრულოთ 17 დეკემბერს, ფოლადის გამოდნობისა — 20 დეკემბერს, ნაგლინის წარმოებისა — 27 ნოემბერს.

2. დამატებითი ეკონომიის გზით წელს მივიღოთ სულ ცოტა 60 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

3. 5 პროცენტის გადაჭარბებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების გეგმა.

4. უზრუნველვყოთ სამხედრო მრეწველობის ყველა დაკვეთის დროული შესრულება და გამოვუშვათ მაღალი ხარისხის ლითონი.

ვკისრულობთ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერსა და ტექნიკოსს მიბაძონ ჩვენს მაგალითს და გააჩაღონ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, 1944-1945 წლის ზამთარში სანიმუშო მუშაობისათვის.

სამხედრო მრეწველობის მუშაკებო — ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების, ნაღმსატყორცნების მშენებლებო, საომარი მასალის ქარხნების მუშაკებო! მეტი საჭურველი და საომარი მასალა მივცეთ წითელ არმიას!

მეშახტეებო, ნავთის მუშაკებო, ენერგეტიკოსებო! თქვენზეა დამოკიდებული შავი მეტალურგიისა და სამხედრო მეურნეობის ყველა დარგის ნორმალური მუშაობა. მოგვეცით მეტი ქვანახშირი, მეტი ნავთი, ბენზინი, გაადიდეთ ელექტროენერგიის გამომუშავება!

რკინიგზელებო! შეუფერხებლად და სწრაფად გადაზიდეთ სამხედრო და სახალხო-სამეურნეო ტვირთი, მიაწოდეთ მეტალურგიას და მრეწველობას სხვა დარგებს ნედლეული და საბობი! ჩვენ მოვუწოდებთ მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგის მუშაკებს, ყველას, ვინც ამარაგებს ფრონტსა და მოსახლეობას, ახალ-ახალი საწარმოო მიღწევით დაამთავრონ 1944 წელი, გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით — წინ მტერზე სრული გამარჯვებისაკენ!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინს!

ეს მიმართვა განხილული და მოწონებულია სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის და სტალინის სახელობის კუზნეცკის ლენინის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებებზე.

მშრომელთა საწარმოო აქტივობა დღითი დღე იზრდება

დღითი დღე იზრდება შრომითი ენტუზიაზმი თბილისის საწარმოებში. ომის დროის სტახანოველები სულ მეტს და მეტ პროდუქციას იძლევიან, მხარდ დახმარებას უწევენ გმირულ ფრონტს.

მაუდის ფაბრიკის სტახანოველები გადაჭარბებით ასრულებენ დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს მაგალითად, საქსოვი საამქროს სტახანოველი მქსოველი ლ. ასათიანი, რომელმაც აკისრა დღიური დავალების 115 პროცენტით შესრულება, თითქმის ერთნახევარ ნორმას იძლევა ყოველდღიურად. მქსოველები ამხ. ნ. აგაპოვი და მ. ბარათაშვილი, მკრეჭავი თ. პოლოლიანი და ქარგალი ი. ფერაძე ნაკისრ ვალდებულებას სისტემატურად 10-15 პროცენტით აჭარბებენ. კამოვლის საამქროში ამ დღეებში განსაკუთრებით დაწინაურდა მრთველი ამხ. ნ. ზარქუა, რომელიც სისტემატურად გეგმის 130 პროცენტს იძლევა. მეომრის თავდადებით მუშაობენ საამქროში სტახანოველები ამხ. ნ. ბაღკოვიოვა და ნ. ივანისელი, რომლებიც დღიურ ნორმების ვადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მნიშვნელოვანი რაოდენობით ზოგავენ ნედლეულს

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტში ამ დღეებში ხაზზე მომუშავე ვაგონების რიცხვი 20-ით გაადიდა. მექანიკურ საამქროში ახალ საწარმოო წარმატებებს მიღწევს ზეინკალმა ამხ. გ. ვახტანგიშვილმა, მჭედელმა ამხ. გ. ნემსაძემ და დურგალმა ამხ. ვ. ხოროხორიმ, რომლებიც დღეში ორსაჰ ნორმას იმუშავებენ. პირნათლად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას მიმდინარე შეკეთების საამქროს გამსინჯავი ამხ. კუდუხაშვილი და ამწყობი ამხ. თეოფანოვი. მათ მიერ გამოშვებული არც ერთი ვაგონი არ დამდგარა ხელახალ რემონტზე. საჰაერო და საკაბელო ქსელის ძეშაკთა შორის განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ მონტიორები ე. ციცხვაია და ა. ბატანოვი, კადრის ოსტატი ი. მჭედლიშვილი, მადათოვის ქვესადგურის მექანიკოსი შ. მაისურაძე, ელექტრიკოსი ე. ბალაჯაძე და ქვესადგურების უფროსი ა. კრიტიანი.

სამშობლოს საჴიდებიდან

გურჯაანი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). დიდი სტალინის — საოქტომბრო მოხსენებითა და ბრძანებით შთაგონებული კოლმეურნეები ახალი ძალით აჩაღებენ მუშაობას.

სოფელ არაშენდის კოლმეურნეებმა უკვე დაამთავრეს სამშემოდგომო თესვა, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება მთლიანად მოიხადეს, 1945 წლის ვალდებულებების ანგარიშში ახლავე აბარებენ საგრძნობი რაოდენობით ხორცს, ყველს, მატყლს და სხვა პროდუქტებს.

არაშენდის სასოფლო საბჭოში სამხედრო მსახურთა ოჯახების დასახმარებლად შეაგროვეს 9.000 კილოგრამი მარცვლეული, 200 კუბმეტრი შეშა, 20.000 მანეთი ფულად.

სოფელ ორმეთლანის სტალინის, მოლოტოვის და ანაზიბეკოვის სახელობის კოლმეურნეობების წევრებმა ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს. გეგმის გადამეტებით დასთესეს 100 ჰექტარი.

რაიონის კოლმეურნეობებში ყოველდღიურად მატულობს მუშაობის ტემპები, იზრდება შრომის ნაყოფიერება სახელოვანი სამშობლოს სადიდებლად.

გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ

მცხეთა („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეები, მტს-ის მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, აღფრთოვანებულნი მშობლიური **სტალინის** ბრძნული მოხსენებითა და ბრძანებით, მიტინგებსა და კრებებზე კისრულობენ ახალ ვალდებულებებს ფრონტისა და ქვეყნისათვის დახმარების გაძლიერებისათვის, ფაშისტი მხეცის საბოლოო განადგურების დაჩქარებისათვის.

კოლმეურნეობებში ფართოდ ჩაღდება მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. სოხაშვილი) გეგმის გადამეტებით დასთესა 10 ჰექტარი მარცვლეული, ამთავრებს მზრალად ხვნას, შეასრულა მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმები, კარგად მოემზადა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. მემინდერეობის ბრიგადირმა მ. მარტოლეკმა პირობა დასდო, რომ ბრიგადაში გეგმის გადამეტებით 15 ჰექტარს დასთესავს, ყირიმელაშვილმა და გ. არეშვილმა იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ ბოსტნეული. კოლმეურნეობის წევრები ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად აგროვებენ 2 ტონამდე მარცვლეულს და ბოსტნეულს, 25 კუბმეტრ შეშას, 2 ტონამდე საქონლის საკვებს.

სოფელ ნიჩბისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ქსოვრელმა განაცხადა — გმირმა წითელმა არმიამ პირისპირ ბრძოლაში დაამარცხა ფაშისტი ავაზაკები და ახლა ვერაგ მტერს მის საკუთარ ბუნაგში სპობს. ჩვენ მოვალენი ვართ ვაჩუქოთ ფრონტელად, ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი სახელოვანი მეომრებისათვის მეტი პურის, ხორცის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების მისაწოდებლად. კოლმეურნეობის სახელით ვკისრულობ გეგმის გადამეტებით დავთესოთ ათეული ჰექტარი პური და ქერი, მათ შორის ორი ჰექტარი ფრონტელთა ოჯახებისათვის, ვადაზე 15 დღით აღრე დავამთავროთ მზრალად ხვნა, მეცხოველეობაში ყველა დავალება შევასრულოთ გადაჭარბებით.

სოფელ წეროვნის კეროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი) დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებისა და ბრძანების პასუხად გეგმის გადამეტებით დასთესა 40 ჰექტარი პურეული, სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩააბარა მეცხოველეობის ერთ ტონამდე პროდუქცია, საუკეთესოდ მოემზადა პირუტყვის გამოზამთრებისათვის, ამთავრებს მზრალად ხვნას.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის კარგად მუშაობენ სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის, მუხათგვერდის ოძელაშვილის სახელობის, მუხრანის სტალინის სახელობის, ამავე სოფლის ბაქრაძის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ა. ძირია

მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინისათვის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

მიენიჭოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1943 წლის 4 თებერვლის დადგენილებით დაწესებული **საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის** სამხედრო წოდება მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 7 ნოემბერი.

ქალაქ ვარშავის დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში

13 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ქალაქ ვარშავის დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ქალაქ ვარშავის პრეზიდენტი მ. სპიხალსკი და ქ. ვარშავის რადა ნაროდოვას (ნაციონალური საბჭოს) წარმომადგენლები ვ. ცუდნი, ვ. მალჩინსკი, ი. კოვალსკაია.

ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. იასნოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტის მოადგილე პოლკოვნიკი ნ. გრიგენშჩიკოვი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლის მოვალეობის აღმსრულებელი სსრ კავშირში ბ-ნი ს. ენდრიხოვსკი და სხვ.

ნადავლი საჭურვლის ნიმუშთა გამოფენა

მინსკში გაიხსნა ნადავლი საჭურვლის გამოფენა, სადაც წარმოდგენილია ათასობით სხვადასხვანაირი ექსპონატი. ბობრუისკის მიდამოებიდან, სადაც გარშემორტყმულ და მოსპობილ იქნა ჰიტლერული დივიზიები, ჩამოიტანეს საბჭოთა არტილერისტებისა და ჯავშანმძიერკავალერების მიერ დაზიანებული „ვეფხვები“, „ავაზები“, „ფერდინანდები“. ათობით სულ სხვადასხვა ყალიბის ზარბაზანი ჩამოტანილია მინსკის ჩრდილოეთით წარმოებული ბრძოლების რაიონებიდან. გამოფენილია მტრის თვითმფრინავები, რომლებიც ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის აეროდრომებზე. გარდა ამისა, აქ თავმოყრილია ნაღმსატყორცნები, გადასასვლელი საშალებანი, საინჟინრო და საინტენდანტო მოწყობილობა.

გამოფენის ტერიტორიაზე შეკნახულია და უჩვენებენ ხანგრძლივ საცეცხლე წყრტა და მთელ რიგ მოწყობილობას, რაც გერმანელებს შეუქმნიათ მიხსკის დასაცავად.

გამოფენა უკვე დათვალიერა რამდენიმე ათასმა კაცმა. (საკდესი).

ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება გამოიცა უკრაინულ და ყაზახურ ენაზე

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა უკრაინულ ენაზე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს 1944 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის 1944 წლის 7 ნოემბრის ბრძანება.

ბროშურის ტირაჟია 300 ათასი ცალი.

ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება მაბრიგი ტირაჟით გამოიცა აგრეთვე ალმა-ატაში ყაზახურ ენაზე. (საკდესი).

ჯ. ი. ვალესკალნი დაინიშნა ლატვიის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად

რიგა, 6 ნოემბერი. (საკდესი). ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჯ. ი. ვალესკალნი დაინიშნა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად.

სახელმწიფო დახმარება დედასა და ბავშვს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და ქალებისა და ბავშვების სამედიცინო და ყოფაცხოვრებითი მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

ქალაქებში, მუშათა დაბებში, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტზე, სოფელ ადგილას მნიშვნელოვნად დიდდება სამშობიარო სახლების, კონსულტაციების, საბავშვო ბაღების, ბაგების, სარძეო სამზარეულოების ქსელი. წელსვე უნდა გაიხსნას მთელი რიგი ახალი საბავშვო დაწესებულებანი და უნდა გადიდდეს ადგილთა რიცხვი არსებულ საბავშვო დაწესებულებებში.

1945 წელს სამშობიარო სახლებსა და განყოფილებებში საწოლთა რაოდენობა გადაწყვეტილია გადიდდეს 91,200-მდე, ბავშვის სახლებში — 43.700-მდე. საბავშვო ბაღებში აღზრდიან 2 მილიონზე მეტ ბავშვს, ბაგებში — 1 მილიონამდე. ბაგებში ბავშვებს დასტოვებენ მთელ დღე და ღამეა.

გამოყოფილია დიდი სახსრები და მასალები საბავშვო დაწესებულებათა ასაგებად და შეკეთებლად. ამ დაწესებულებათა მთელი საგზომები, რომლებიც დაკავებულია არაპირდაპირი დანიშნულებით, 1945 წლის პირველი იანვრისათვის უნდა განთავისუფლებულ და შეკეთებულ იქნას.

სამრეწველო სახალხო კომისარიატებს დაეკალთ დამაზდონ ბამბეული ქოვილი, თექურები, ტყავის ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟიანი და სხვა ნაწარმი საბავშვო დაწესებულებებსა და პატრონატში მყოფი ბავშვების მოსამარაგებლად. (საკდესი).

საქართველოს მეცნიერთა ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

14 ნოემბერს უნგრეთში ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ნაჯკატა, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ხევეშვეზეკენი, პუსტა ჩასი, სენტმარტონკატა, ტაპიოშაგი სარი, პეტერი და რკინიგზის სადგურები ნაჯხალომი, სენტმარტონკატა. ბუდაპეშტის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა ლიკვიდაცია უყვეს მოწინააღმდეგის პლაცდარმს მდინარე დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე, ამასთან დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური შოლტი და დასახლებული პუნქტი დუნაედხაზა.

10-დან 13 ნოემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 3.600 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 8-დან 13 ნოემბრამდე წარმოებულ ბრძოლებში უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 7.700 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ.

13 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 18 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 21 თვითმფრინავი.

* * *

უნგრეთში ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ქალაქ სოლნოკის ჩრდილოეთით გერმანელებმა ახალი ქვეითი ნაწილები და მნიშვნელოვანი რაოდენობის თვითმავალი ქვემეხები გამოიყვანეს. დღის განმავლობაში მათ მოტანეს რამდენიმე უშედეგო კონტრიერიში, რომელთა მსვლელობაშიც დაჰკარგეს 16 ტანკი და 600-ზე მეტი თავიანთი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ ცეგლედის ჩრდილოეთით ჩვენმა ქვეითმა და ცხენოსანმა შენაერთებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად განდევნეს ჰიტლერელები ქალაქ ნადკატიდან—მტრის ძლიერ გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძიდან უნგრეთის დედაქალაქის მისადგომებზე. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის 18 საველი და 14 საზენიტო ქვემეხი, 25 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე საწყობი საომარ მასალასად და სამხედრო ქონებიასად.

გუშინ და დღეს გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა მდინარე დუნაისთან, ქალაქ კეჩკემეტის დასავლეთით. ამ რაიონში მოწინააღმდეგე ინარჩუნებდა პლაცდარმს დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე. გერმანელებმა ძლიერ გაამაგრეს ქალაქი შოლტი, დიდი დასახლებული პუნქტი დუნაედხაზა და ვარაუდობდნენ მარჯვე მომენტში ფლანგიდან დაერტყათ ჩვენი ჯარებისათვის, რომლებიც ბრძოლებს ეწეოდნენ ბუდაპეშტის მისადგომებზე. საბჭოთა ნაწილებმა უეცრად დაარტყეს მოწინააღმდეგეს და ქალაქ შოლტში შეიჭრნენ. მტრის გარნიზონი მოსპობილია. ასობით გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი, რომლებიც ცდილობდნენ გადაელახათ დუნაი მდინარეში ჩაიხრჩო. ჩვენმა ჯარებმა ლიკვიდაცია უყვეს მოწინააღმდეგის პლაცდარმს დუნაის აღმოსავლეთ ნაპირზე და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა. ტყვედ წამოყვანილია 1.200 ჰიტლერელი.

ჩვენი ავიაცია ხელს უწყობდა სახმელეთო ჯარების მოქმედებას და ურტყამდა მოწინააღმდეგის ტანკებს, ცოცხალ ძალასა და საარტილერიო სანაღმტყორცნო ბატარიებს. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა სამი ბომბდამშენი და 14 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ქალაქ ოსტროლენკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მზვერავების ჯგუფმა წუვდიადის საფარქვეშ სასუელები გააკეთა ნაღმიან ველებში და მოწინააღმდეგის განლაგებაში შეაღწია. საბჭოთა მებრძოლებმა სწრაფი იერიშის შედეგად გაანადგურეს გერმანელთა საბრძოლო დაცვა. ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. სხვა უბანზე 5 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს ბლინდაჟი, დამსხვრიეს მოწინააღმდეგის საველე ქვემეხი და სამი დაზგის ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა ჩაბშობილია გერმანელთა რამდენიმე საცეცხლე წერტის ცეცხლი.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა იყო და მზვერავები მოქმედებდნენ. მზვერავთა ჯგუფმა უფროსს ლეიტენანტ მაკაროვის მეთაურობით წარმატებითი გამოხდომა მოაწყო გერმანელთა განლაგებაში. მზვერავები ფარულად მიუახლოვდნენ მტრის პოზიციებს და ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი და ორი გერმანელი მეტყვიამფრქვევე. უფროს ლეიტენანტ ტიხონოვის მზვერავმა რაზმმა ღამის განმავლობაში მოსპო 8 ჰიტლერელი და ხელთ იგდო ტყვე. 5 ნაწილის სნაიპერებმა ამხანაგებმა შიდანოუსკიმ, კამკარაძემ, არეფიევმა და მიხოუზოვმა 30 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს სამი დღის განმავლობაში.

ჩვენი მფრინავების ჯგუფმა გვარდიის კაპიტან კრატინოვის მეთაურობით იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ნავთის ბაზაზე. ბაზის ტერიტორიაზე დიდი ხანძარი გაჩნდა. იწვოდა საწვავიანი ცისტერნები და სასამსახურო შენობები.

* * *

კარპატის მთებში წარმოებული ბრძოლების განმავლობაში უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა მძიმე ზარალი მიაყენეს უნგრეთის 1-ლ არმიას. მოწინააღმდეგემ ათიათასობით თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და ტყვეთა სახით. ერთი სოფლის რაიონში ტყვედ ჩაიგდეთ უნგრელთა ჯგუფი, რომელიც შესდგება 384 ჯარისკაცისაგან, 14 უნტერ-ოფიცრისაგან და მე-2 სამთო-მსროლელი ბრიგადის ორი ოფიცრისაგან. ტყვედ წამოყვანილმა უფროსმა ლეიტენანტმა დოქტორ ტიხაფერ კიშმა განაცხადა: „ჩვენი ბრიგადა სასტიკად დამარცხდა. ჩვენ რამდენიმე დღეს ტყე-ტყე დავეხეტებოდით, აქეთ-იქით ვეწყდებოდით. როგორც მომწყვდეული ნადირნი. გერმანელები დაგვპირდნენ ტანკების გამოგზავნას და როგორც ყოველთვის მოგვატყუეს. თავი რომ გადაირჩინონ, ამისათვის უნგრელებმა რაც შეიძლება მალე უნდა გასწყვიტონ კავშირი გერმანელებთან“.

სხვა უბანზე ტყვედ ჩაიგდეთ უნგრელთა მე-6 ქვეითი დივიზიის 22-ე პოლკის მესამე ბატალიონის მეთაური კაპიტანი ლასლო ბორდაში, მისი ადიუტანტი აურელი და ჯარისკაცთა ჯგუფი. ტყვედ წამოყვანილმა კაპიტანმა განაცხადა: „უნგრელთა ნაწილები კატასტროფის პირას არიან. ერთადერთი გზა ნივრული გამოსავალი მათთვის არის წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლა და მასთან ერთად გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლა“. ანალოგიური რაიონში ჩვენს მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა მე-10 სამთო-მსროლელი ბატალიონის პირველი ასეულის 95 ჯარისკაცი და სამი ოფიცერი. ამ ასეულის მეთაურმა ლეიტენანტმა მიკლოშ ბერენგმა განაცხადა: „ბატალიონის 16 ოფიცერთაგან მხოლოდ ერთმა კაპიტანმა ტიმორმა შეჰფიცა გერმანელთა აგენტ სალაშის „მთავრობას“. მე და ყველა დანარჩენმა ოფიცრებმა კატეგორიული უარი ვთქვით ამაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ გერმანიასთან კავშირის დაუყოვნებლივ გაწყვეტას შეუძლია იხსნას უნგრეთი დაღუპვისაგან“.

სახელმწიფო საზღვარზე

ბუჩქნარით დაფარულ ბორცვებს შუა მიიკლაკნება პატარა მდინარე. მის დასავლეთ ნაპირზე ხუტორებია. თვითეული ხუტორისაკენ გზატკეცილიდან ვიწრო სასოფლო გზა მიდის. ეს არის აღმოსავლეთი პრუსია—გერმანელთა სამხედრო ხროვის კრაზანის ბუდე.

1941 წლის ივნისის დილას, როცა შორი ტყის თავზე მზემ ამოანათა, ლიტვის საზღვრისპირა ხუტორის ეზოში სახლიდან გამოვიდა მისი პატრონი. ამ დროს გერმანელთა მიწაზე გაისმა ქვემეხის მგრგვინავი სროლა. ლიტველმა თავის სახლში შეირბინა და რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან გამოვარდა მწვანე კილოებიანი მეთაური. ეს იყო საზღვრისპირა სადარაჯოს უფროსი მიხეილ ვორობიოვი. იგი სადარაჯოს შენობისაკენ მირბოდა და თან რევოლვერს ირტყამდა წელზე.

შემდეგი ყუმბარები ხუტორს მოხვდა. სახლი დაინგრა, ცეცხლი გაუჩნდა ფარდულს. ლიტველი თავის ოჯახიანად და მეთაურის ცოლიანად ღრმა ხევში დაიმალა. იქიდან იგი ხედავდა, რომ იწვოდა მისი ხუტორი, ცეცხლი გაუჩნდა მისი მეზობლების სახლებს.

დაიწყო ომი.

სადარაჯოსაკენ, რომ მირბოდა, მიხეილ ვორობიოვი ხედავდა, რომ გზატკეცილის მოსახვევში ჩაიქროლეს გერმანელთა ტანკებმა, რომ ჰიტლერელი ქვეითები მდინარეს გადმოვდნენ. მას ესმოდა ჩვენი მეომრების სროლის ხმა, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს გერმანელებს.

—ვაზნები ტყუილუბრალოდ არ დახარჯოთ, —დაიძახა მიმავალმა მეთაურმა. ათმა კაცმა სადარაჯოს შენობა დაიცვას,—და მან ჩამოთვალა ისინი,—დანარჩენები მომყევით ვაგზლისაკენ. ბრძანების მიუღებლად უკან არ დაიხოთ!

ვორობიოვმა ძლიერ საარტილერიო ცეცხლქვეშ წაიყვანა ვაგზლისაკენ რვა მესაზღვრე. გზაში იგი მძიმედ დაიჭრა და ცნობა დაჰკარგა. მესაზღვრეებმა ზურგში გადაიყვანეს თავიანთი მეთაური, თვითონ კი თავდაცვისათვის მოემზადნენ ვაგზალზე. გერმანელები გარშემორტყმენ ვაგზალსაც და სადარაჯოსაც. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. მესაზღვრეები დიდ ხანს ინარჩუნებდნენ ვაგზალსა და სადარაჯოს.

...გავიდა სამ წელიწადნახევარზე მეტი ხანი. წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი დამპყრობნი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქით. საბჭოთა ჯარები აღმოსაკლეთ პრუსიაში შეიჭრნენ. მესაზღვრეები დაუბრუნდნენ ძველ ადგილებს.

პატარა ხუტორთან მანქანიდან გადმოხტა მწვანე სამხრეებიანი უფროსი ლეიტენანტი. ეს იყო სადარაჯოს უფროსი მიხეილ ვორობიოვი, სწორედ ის, რომელიც 1941 წელს მესაზღვრეებმა ზურგში გადაიყვანეს. და აი ახლა იგი თავის სადარაჯოზე ბრუნდება. ირგვლივ შავად სჩანს გადამწვარი ხუტორები, გერმანელთა დაზიანებული ტანკები. აღმოსავლეთ პრუსიაში გაისმის საბჭოთა არტილერისტების ზალპები. ჰაერში განუწყვეტელი გუგუნი დგას.

ვორობიოვი აქ თავისი ამხანაგის ცოლს შეხვდა. იგი მასთან ერთად წავიდა მესაზღვრეთა საფლავისაკენ. საფლავზე ვორობიოვმა დაინახა საბჭოთა ადამიანების მიერ ფარულად დადგმული ხის უბრალო ძეგელი, რომელებზეც წარწერილი იყო მამაცურად დაღუპულთა სახელები.

...ოფიცერ ვორობიოვის სადარაჯო კვლავ მტკიცედ იცავს სამშობლოს აღდგენილ საზღვარს. ამ დღეებში ფხიზელმა მესაზღვრეებმა შეიპყრეს დადაცმული გერმანელი. იგი ლიტველად ასაღებდა თავს, კარგად ლაპარაკობდა რუსულადაც, მაგრამ გამორკვევისას პირწავარდნილი გერმანელი ჯაშუში აღმოჩნდა. სხვა ადგილას მესაზღვრეებმა კიდევ ერთი გერმანელი ჯაშუში შეიპყრეს.

აღმოსავლეთ პრუსიიდან სამშობლოში ბრუნდებიან გერმანულ მონობაში განდევნილი, ახლა კი წითელი არმიის მებრძოლების მიერ განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანები. გასაშვებ პუნქტზე მათ ხვდება მესაზღვრე უფროსი ლეიტენანტი ილია კოვალოვი. იგი ყურადღებით ესაუბრება უკანდაბრუნებულს, არკვევს საიდან არიან, სად მიდიან, რა დახმარება ესაჭიროებათ, აწყობს სამშობლოში მათს გაგზავნას.

პოლკოვნიკი ნ. ბაკანოვი
სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი,
14 ნოემბერი (საკდესის სპეც. კორ.).

აღმოსავლეთ პრუსიაში. საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ქალაქ აიდტკუნენის შესასვლელთან. ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკდესის ფოტო ქრონიკა).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ოფიციალური ბიულეტენი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

საბჭოთა მოქალაქეების დაბრუნება სამშობლოში

მურმანსკი, 14 ნოემბერი. (საკდესი). აქ ამ დღეებში ინგლისიდან ჩამოვიდა ორი ტრანსპორტი, რომლებმაც ჩამოიყვანეს მოკავშირეთა ჯარების მიერ განთავისუფლებული 10 ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე და სსრ კავშირის მოქალაქე, რომლებიც გერმანელ დამპყრობლებს ფაშისტურ კატორღაში ჰყავდათ გაგზავნილი. სამშობლოში დაბრუნებულ საბჭოთა მოქალაქეებს შორის არიან ქალები და ობოლი ბავშვები, რომელთა მშობლებიც წამებით დახოცეს გერმანელმა ჯალათებმა.

ჩამოსულთ გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გერმანიიდან და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საქმეთა რწმუნებულის წარმომადგენლები, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. გულითადი იყო ფაშისტური ტყვეობიდან დაბრუნებული საბჭოთა მოქალაქეებისა და მურმანსკის მშრომელთა შეხვედრა სტიქიურად გამართა მიტინგი. საბჭოთა მოქალაქეები, რომლებიც გერმანელი მტარვალების მიერ ძალით იყვნენ სამშობლოს მოწყვეტილნი, ზედიზედ ადიოდნენ სახელდახელო ტრიბუნაზე და თავიანთ წრფელ მადლობას უცხადებდნენ საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ სტალინს მათზე მამობრივი მზრუნველობისათვის.

— ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეა, —ამბობს თვალცრემლიანი ხანშიშესული ქალი. ჩვენ ვიცოდით,—ამბობს იგი,—რომ სამშობლოს ვახსოვდით, რომ წითელი არმია გვიხსნიდა ფაშისტური მონობიდან. ბოლოს გვეღირსა შინ დაბრუნება!

გამოდის ყოფილი სამხედრო ტყვე. იგი ლაპარაკობს საშინელ აბუჩად აგდებასა და ტანჯვაზე, რასაც განიცდიან საბჭოთა მებრძოლები, რომლებიც ძმიმე ჭრილობების კამო აღმოჩნდნენ გერმანელთა მიერ სამხედრო ტყვეებისათვის მოწყობილ ბანაკებში. იგი გამოსთქვამს მთელი თავისი ამხანაგების უძლიერეს სურვილს—დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ წითელი არმიის რიგებში და იარაღით ხელში იძიონ შური ჰიტლერელ ჯალათებზე იმ მუხანათობისა და წამებისათვის, რაც მათ ჩვენს ხალხს მიაყენეს.

ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა დიდი ზრუნვა გამოიჩინეს საშობლოში დაბრუნებულ საბჭოთა მოქალაქეებისადმი. ისინი უზრუნველჰყვეს კვებითა და ბინით. საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც კვლავ ჰპოვეს სამშობლო, უდიდეს ინტერესს იჩენენ სამამულო ომის ფრონტებზე მომხდარი სასიხარულო ამბებისადმი, საბჭოთა კავშირის ცხოვრებისადმი. ისინი სულგანაბულნი ისმენდნენ 6 ნოემბერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საზეიმო სხდომაზე.

სამშობლოში დაბრუნებული საბჭოთა მოქალაქეები ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებიან მშობლიურ ადგილებში. ობოლ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც გერმანელ დამპყრობთა ხელით დაიღუპნენ, საბავშვო სახლებში ათავსებენ.

გმირთა სოფელი

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სოფელი ციაში ულამაზესია სამეგრელოში. შეღამებისას, როცა მიდამოს სიბნელე მოიცავს, ციაშელი კოლმეურნენი საუბარს იწყებენ თავიანთ სახელოვან შვილებზე, რომლებმაც ჭამულისათვის ომში მრავალგზის გამოიჩინეს თავი.

მათი რიცხვი კი მრავალია.

ამ სოფლიდან 283 ვაჟკაცი გავიდა ბრძოლის ველზე. მათგან ყველაზე წინ ადიდა ამ სოფლის სახელი უშიშარმა მხედარმა პოდპრაპორშიკმა ბორის ფარჯიკიამ, რომლის გვარდიელ კავალერისტთა ლეგენდარულ ბრძოლებზე რამდენჯერმე დაიწერა გაზეთებში „პრავდასა“ და „კრასნაია ზვეზდაში“. გმირი ფარჯიკია ერთ-ერთი გაფორებული შეტევის დროს დნეპრის ნაპირას დაიღუპა.

ციაშიდან არიან საქართველოს საამაყო შვილები —საბჭოთა კავშირის გმირები—ბონდარორდია და შალვა ქირია. პირველი მათგანი ვაჟკაცთა სიკვდილით დაეცა მტერთან ბრძოლაში. საქართველოს ფრთოსანი რაინდი ავიაციის მაიორი შალვა ქირია შურს იძიებს მუხანათ მტერზე.

ამ სახელოვანთ რაინდებს სახელს უმშვენებს 23 ციაშელი ვაჟკაცი, რომელნიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის არიან ორდენოსნები: იოსებ ციკოლია, ეორეი ჯიქია, ალექსანდრე გეგეჭკორი, ნიკოლოზ და პოლიკარპე ქირიები და სხვანი.

თავიანთ ახალგაზრდა შვილთა გმირულ ბრძოლას მკლავმაღლიანი შრომით უპასუხებენ ციაშელები. ამ სოფლის 41 რჩეული ადამიანი დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

ციაშელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი გმირებით, დიდებამოსილი მამულიშვილებით.

ხ. გერულავა

ომის ფრონტებზე

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

13 ნოემბერს მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას მეცის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ქვეითი ჯარის ნაწილებმა ერნის მიაღწიეს და ერთ მილზე იმყოფებიან ანსერვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ხელშია შემდეგი ქალაქები: კორნი მდინარე მოზელზე, პომერიე, ვერნე და ლიეონი კოტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ლუნევილის აღმოსავლეთით მდებარე სექტორში, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ წავიწიეთ ორ მილამდე. ქალაქი ლეინტრე განთავისუფლებულია. მოპოვებულია არსებითი წარმატება ბრიუიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სექტორში. ჰოლანდიაში ოპერაციები პატრულების მოქმედებითა და საარტილერიო სროლით განსაზღვრებოდა.

ავდარმა კვლავ შეზღუდა ავიაციის მოქმედება.

...გავიდა სამ წელიწადნახევარზე მეტი ხანი. წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი დამპყრობნი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქით. საბჭოთა ჯარები აღმოსაკლეთ პრუსიაში შეიჭრნენ. მესაზღვრეები დაუბრუნდნენ ძველ ადგილებს.

1941 წლის ივნისის დილას, როცა შორი ტყის თავზე მზემ ამოანათა, ლიტვის საზღვრისპირა ხუტორის ეზოში სახლიდან გამოვიდა მისი პატრონი. ამ დროს გერმანელთა მიწაზე გაისმა ქვემეხის მგრგვინავი სროლა. ლიტველმა თავის სახლში შეირბინა და რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან გამოვარდა მწვანე კილოებიანი მეთაური. ეს იყო საზღვრისპირა სადარაჯოს უფროსი მიხეილ ვორობიოვი. იგი სადარაჯოს შენობისაკენ მირბოდა და თან რევოლვერს ირტყამდა წელზე.

შემდეგი ყუმბარები ხუტორს მოხვდა. სახლი დაინგრა, ცეცხლი გაუჩნდა ფარდულს. ლიტველი თავის ოჯახიანად და მეთაურის ცოლიანად ღრმა ხევში დაიმალა. იქიდან იგი ხედავდა, რომ იწვოდა მისი ხუტორი, ცეცხლი გაუჩნდა მისი მეზობლების სახლებს.

დაიწყო ომი.

სადარაჯოსაკენ, რომ მირბოდა, მიხეილ ვორობიოვი ხედავდა, რომ გზატკეცილის მოსახვევში ჩაიქროლეს გერმანელთა ტანკებმა, რომ ჰიტლერელი ქვეითები მდინარეს გადმოვდნენ. მას ესმოდა ჩვენი მეომრების სროლის ხმა, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს გერმანელებს.

—ვაზნები ტყუილუბრალოდ არ დახარჯოთ, —დაიძახა მიმავალმა მეთაურმა. ათმა კაცმა სადარაჯოს შენობა დაიცვას,—და მან ჩამოთვალა ისინი,—დანარჩენები მომყევით ვაგზლისაკენ. ბრძანების მიუღებლად უკან არ დაიხოთ!

ვორობიოვმა ძლიერ საარტილერიო ცეცხლქვეშ წაიყვანა ვაგზლისაკენ რვა მესაზღვრე. გზაში იგი მძიმედ დაიჭრა და ცნობა დაჰკარგა. მესაზღვრეებმა ზურგში გადაიყვანეს თავიანთი მეთაური, თვითონ კი თავდაცვისათვის მოემზადნენ ვაგზალზე. გერმანელები გარშემორტყმენ ვაგზალსაც და სადარაჯოსაც. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. მესაზღვრეები დიდ ხანს ინარჩუნებდნენ ვაგზალსა და სადარაჯოს.

საგზაო მშენებლობაში გამარჯვებული რაიონები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მ. ჯაშის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-პატრონობის დარგში სოციალისტური შეჯიბრების შემაჯამებელი რესპუბლიკური ჟიურის სხდომა, რომელმაც განიხილა შეჯიბრების 1944 წლის მესამე კვარტალის შედეგები და წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, საგზაო-სამშენებლო უბნებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარა მესამე საგზაო-სამშენებლო უბანი (კურორტ საირმის გზის მშენებლობა, უბნის უფროსი ამხ. გორდელაძე), რომელსაც მიეკუთვნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 10.000 მანეთის რაოდენობით. უბნის კოლექტივმა მესამე კვარტალში საგზაო მშენებლობის გეგმა 145,5 პროცენტით შეასრულა.

რაიონებს შორის შეჯიბრებაში ჟიურიმ გამარჯვებულად სცნო საჩხერის რაიონი (რაიონული საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ენუქიძე) და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი (საოლქო საგზაო განყოფილების უფროსი ამხ. გასიევი), რომელთაც გადაეცათ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები თითოს 10.000 მანეთის რაოდენობით. საჩხერის რაიონმა, რომელსაც დროშა გადაეცა ონის რაიონიდან, მესამე კვარტალში გეგმა შეასრულა 249 პროცენტით, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა (დროშა გადაეცა თეთრიწყაროს რაიონისაგან)—244 პროცენტით.

ჟიურიმ ამასთანავე აღნიშნა საგზაო-სარემონტო სამუშაოების წარმატებით შესრულება: პირველ საგზაო-საექსპლოატაციო უბანზე (უფროსი ამხ. კუხალეიშვილი), გურჯაანის რაიონში (რაიონული საგზაო განყოფილების გამგე ამხ. იუსუფოვი), წყალტუბოს (საგზაო განყოფილების გამგე ამხ. მაღრაძე), ჭიათურის (გამგე ამხ. გაფრინდაშვილი), ახალციხის (გამგე ამხ. ბერიძე), ონის (გამგე ამხ. ბაკურაძე) რაიონებში, აჭარის სს რესპუბლიკაში (საგზაო სამმართველოს უფროსი ამხ. შანიძე), ახალქალაქის (გამგე ამხ. ჯეირანიანი), გეგეჭკორის (გამგე ამხ. გვილავა), სამტრედიის (გამგე ამხ. ანდრიაძე), ხაშურის (გამგე ამხ. ბარბაქაძე), ზესტაფონის (გამგე ამხ. კიკნაძე), ლანჩხუთის (გამგე ამხ ბაღდავაძე) და თეთრიწყაროს (გამგე ამხ. მეკვანაძე) რაიონებში.

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ქალაქ ფორლის რაიონში. ფორლის სამხრეთ-დასავლეთით ინგლისელთა ჯარებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე მონტონე და, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ მიიწევენ მთის ძირებში მდინარის ჩრდილოეთით. მარცხენა ფლანგზე მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ბანიოლო, დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და მტრისაგან გასწმინდეს დიდმნიშვნელოვანი მაღლობი მონტე კაზოლა. ფრონტის დანარჩენ უბნებზე პატრულების შეტაკება ხდებოდა.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე იტალიასა და იუგოსლავიაში.

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ქალაქ ფორლის რაიონში. ფორლის სამხრეთ-დასავლეთით ინგლისელთა ჯარებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე მონტონე და, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, წინ მიიწევენ მთის ძირებში მდინარის ჩრდილოეთით. მარცხენა ფლანგზე მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ბანიოლო, დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და მტრისაგან გასწმინდეს დიდმნიშვნელოვანი მაღლობი მონტე კაზოლა. ფრონტის დანარჩენ უბნებზე პატრულების შეტაკება ხდებოდა.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი თავდასხმები მოახდინა მტრის სამხედრო ობიექტებზე იტალიასა და იუგოსლავიაში.

ინგლისელ-ამერიკელთა ბომბდამშენთა ბრძოლა

ლონდონი, 14 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ ბომბდამშენთა ბრძოლა ინარჩუნებს ინტენსიურობას. ბომბდამშენთა ჯგუფებმა ბომბებით დაბომბეს ბერლინი, ბონი, ფრანკფურტი, ლეიფციგი, ბრემენი, ბერლინ-ფრანკფურტის ავტობანი, ბერლინ-ბონ-ფრანკფურტ-ლეიფციგ-ბრემენ-